საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/89

ქ. ბათუმი 24 ივლისი, 2020 წელი

,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებაში ცვლილების და დამატების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 თებერვლის №30 დადგენილების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების საფუძველზე, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცემტრის ხარისხის მართვის მენეჯერის მამუკა გოგელიას 2020 წლის 22 ივლისის N624903 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება და დამატება ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 ნოემბრის N01-08/169 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) მე-2 მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-2[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2[1]. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა გააჩნდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენცია, რაც შესაძლებელია დადასტურდეს: მასწავლებლის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით (პროფესიული ან უმაღლესი განათლების დიპლომი/სერტიფიკატი -

შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სწავლების მიზნებისათვის); სამუშაო გამოცდილებით (პრაქტიკული უნარები); მოდულის ადაპტაციის, სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით ცვლილებების შეტანის მიმართულების მისი აქტივობით; შეფასების საკითხებში ბსუ-ს მიერ ჩატარებულ ტრენინგში ან/და გარე პროვაიდერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობის შედეგებით (ტრენინგებში მონაწილეობის მატერიალურ მტკიცებულებებად განიხილება: სერტიფიკატები, დასწრების ფურცლები). მასწავლებლის კომპეტენციის ირიბ დადასტურებად შესაძლებელია მიჩნეული იქნეს: სტუდენტების კითხვარების, ასევე შიდა მონიტორინგის ან/და ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი.";

ბ) მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის (მოდულების/სასწავლო კურსების) წარმართვის მიზნით, ამ წესით შერჩეულ მასწავლებლებს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განესაზღვრებათ სამუშაო დატვირთვა."

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს: ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**